რეგიონის დონეზე ინოვაციური საქმიანობის თავისებურებები

პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს სრული პროფესორი
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com
ნათელა მარტინენკო
სტუ-ს უფროსი მასწავლებელი,
დოქტორანტი
E-mail: natiamart@mail.ru

რეზიუმე

რეგიონის დონეზე ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის ანალიზი აჩვენებს ინოვაციური აქტივობის აქტივიზაციის ინსტრუმენტების დიდი რაოდენობის არსებობას. ამასთანავე, უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ არ არსებობს სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტების ერთიანი დოზირებული ნაკრები, რომლის გამოყენებაც უზრუნველყოფს ინოვაციური საქმიანობის ეფექტიან ორგანიზებას ნებისმიერი რეგიონისათვის. ყოველი რეგიონი უნდა უდგებოდეს ინოვაციური განვითარების ამოცანების გადაჭრას საკუთარი თავისებურებების, ტრადიციების, არსებული რესურსების და მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

ქართული ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ ტიპზე გადასვლა შეიძლება რეალიზებული იქნეს მხოლოდ რეგიონების ინოვაციური განვითარების მეშვეობით. ყოველი რეგიონისთვის საჭიროა ინოვაციური განვითარების პრობლემების გადაჭრისადმი ინდივიდუალური მიდგომა.

რეგიონის ინოვაციური განვითარება წარმოადგენს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ცვლილებების მიზანმიმართულ და მართვად პროცესს, მიმართულს რეგიონის ტერიტორიაზე ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევისაკენ, რაც შეიძლება მცირე ზიანის მიყენებით ბუნებრივი რესურსებისთვის და მოსახლეობის მიმდინარე და პერსპექტიული კოლექტიური მოთხოვნებისა და სახელმწიფოს ინტერესების რაც შეიძლება დაკმაყოფილების მაღალი დონის მიღწევით.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიის საფუძველი უნდა იყვეს მიზანმიმართული ძიება და სიახლეების ეფექტიანი მართვა რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში.რეგიონის ინოვაციური განვითარების სუბიექტებად გამოდიან ხელისუფლებისა და მართვის რეგიონული ორგანოები; „ზრდის წერტილები" -საწარმოები და საწარმოთა კომპლექსების, რომლებიც ახდენენ შიდა და გარე ბაზარზე კონკურენტუნარიან ტერიტორიულ ინოვაციურ-სამრეწველო კლასტერებს, ასევე რეგიონის მოსახლეობა.

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკა ორიენტირებულია ტერიტორიული პრობლემების გადაჭრაზე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ნედლეულის და შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის ღონისძიებებად გამოდიან რეგიონისათვის პრიორიტეტული წარმოების კონკურენტუნარიანი პოტენციალის ზრდის პროგრამები ინოვაციების რეალიზაციისთვის კერძო ინსტიტუციონალური ინვესტორების მოზიდვის მეშვეობით, ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური სტიმულირების რეჟიმის ფორმირება.

რიგი მეცნიერების აზრით, რეგიონული ინოვაციური პროცესების მხარდაჭერა შესაძლებელია სხვადასხვა გზით:

- კონცერნების, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნით;
- ინოვაციური საქმიანობის სფეროში მეწარმეობის განვითარებით მცირე საწარმოების ქსელის შექმნის მეშვეობით;
-რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურის როგორც ინოვაციური საქმიანობის უზრუნველყოფის ბაზის ფორმირება და მცირე ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობა.

ცალკეულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ რეგიონის ინოვაციური პროცესი წარმოდგენილია რამოდენიმე ფორმით. უპირველეს ყოვლისა, კორპორატიული სტრუქტურებით (აქ შედის მსხვილი კომპანიების სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფები, საფინანსო-საწარმოო ჯგუფები ან/და მათი შვილობილი კომპანიები და ფილიალები, რომლებიც წარმოადგენენ ინოვაციურ საწარმოებს). მეორე, სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წარმონაქმნებით (მათ შორის სასწავლო დაწესებულებები, საუნივერსიტეტო და

კვლევითი ცენტრები და ა.შ.). მესამეც, მცირე ინოვაციური ფირმებით.

ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

ამჟამად აქტუალურია მიდგომა, რომელიც ვარაუდობს რეგიონებში ინოვაციური სისტემის აგებას ინოვაციური აქტივობის ცენტრების ფორმირების გზით - ისეთი სამეცნიერო-ტექნიკური ტერიტორიული კომპლექსების აგებას, რომლებიც ორიენტირებულები არიან ინოვაციების ათვისებასა და მათ ფართო დიფუზიაში წარმოებაში, მისი ტექნოლოგიური მოდერნიზაციის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე.

ინოვაციური აქტივობის ასეთი რეგიონული ცენტრების სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს საწარმოო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები - ინოვაციური ტერიტორიები, სამეცნიერო ქალაქები, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკები, ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრები და ა.შ.

ლიტერატურაში გამოყოფენ ინოვაციური ტერიტორიების შემდეგ სახეობებს:

1. ინოვაციურ ტერიტორიებს როგორც მუნიციპალური წარმონაქმნების ნაწილი.

2. სამეცნიერო-კვლევითი პარკები მუნიციპალური წარმონაქმნის ბაზაზე ან სტრუქტურაში.

3. სამეცნიერო ქალაქები მუნიციპალური წარმონაქმნების ბაზაზე

4. ტექნოქალაქები მუნიციპალური წარმონაქმნების ბაზაზე.

5. ინოვაციური ტერიტორიები რამოდენიმე მუნიციპალური წარმონაქმნის ბაზაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადსხვა ტიპის ინოვაციური ტერიტორიების ფორმირების პროცესი შეეხო, უპირველეს ყოვლისა, რეგიონებს მაღალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალით.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის კიდევ ერთ ელემენტს წარმოადგენს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები (გეზ), რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს, რომელშიც მოქმედებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების განსაკუთებული რეჟიმი. შესაძლებელია ორი სახის გეზ-ის შექმნა: სამრეწველო-საწარმოო და ტექნიკურ-დანერგვითი. გეზ-ის მექანიზმი სთავაზობს მეწარმეებს, უპირველეს ყოვლისა, თავისუფალ საბაჟო ზონას, მეორეც, მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს.

გეზ-ის ერთ ერთი მთავარ ამოცანას წარმოადგენს რეგიონებში გრძელვადიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მეცნიერტევადი წარმოების და გადამამუშავებელი წარმოების განვითარების მიზნით.

ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის შემდეგი ბლოკი დაკავშირებულია ინფორმაციის მიღწევადობის უზრუნველყოფასთან. ამ სფეროში მოქმედებს ორგანიზაციების საკმაოდ დიდი ქსელი, რომელიც მოიცავს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო ცენტრების რეგიონულ სისტემას, სტრუქტურებს, რომლებიც მხარს უჭერენ მცირე ბიზნესს, მონაცემების და ცოდნის ბაზები, მიღწევადობის ცენტრები, ასევე ანალიტიკური, სტატისტიკური და სხვა ცენტრები.

ამჟამად ინოვაციური საწარმოს წინაშე მდგარი პრობლემებიდან ერთ-ერთ წარმოადგენს კადრების არ არსებობა, რომლებსაც შესწევთ კვლევებისა და შემუშავებების წარმოება. გარდა ამისა, სამრეწველო საწარმოების (როგორ დიდი, ისე მცირე) უმრავლესობას არ ჰყავს სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ სწორად უზრუნველყონ წარმოებული მეცნიერტევადი პროდუქციის წინ წაწევა ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს კადრების მომზადების სისტემის განვითარება ყველა მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციურ საქმიანობას. საკადრო ინფრასტრუქტურის ელემენტებს წარმოადგენენ საგანმანათლებლო დაწესებულებები სამეცნიერო და ინოვაციური მენეჯმენტის სფეროში და სხვა.

საექსპერტო-კონსალტინგური ორგანიზაციების მნიშვნელობა ინოვაციური საქმიანობის უზრუნველსაყოფად მდგომარეობს იმაში, რომ ინოვაციურ საქმიანობას გააჩნია მრავალი სპეციფიკური თავისებურება, რომლის ცოდნაც შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე.

საექსპერტო-კონსალტინგური ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრებით და რიგი სხვა ორგანიზაციებით, რომლებიც მომსახურებას წევენ ინტელექტუალური საკუთრების, სერტიფიცირების საკითხების მიხედვით.

გარდა ზემოაღნიშნული ქვესისტემებისა მნიშვნელოვანია ასევე ინოვაციური ინფრასტრუქტურის გასაღების შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სპეციალიზირებული საშუამავლო ფირმებით, საგარეო სავაჭრო ორგანიზაციებით, საგამოფენო საქმიანობით და სხვ.

რეგიონის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ქვესისტემების ერთობლიობა მოწოდებულია უზრუნველყოს საწარმოების და ორგანიზაციე-

ბის მიღწევადობა სხვადასხვა ინოვაციური რესურსებისადმი და გაუწიოს მომსახურება ინოვაციური საქმიანობის მონაწილეებს.

რეგიონის დონეზე ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის ანალიზი აჩვენებს ინოვაციური აქტივობის აქტივიზაციის ინსტრუმენტების დიდი რაოდენობის არსებობას. ამასთანავე, უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ არ არსებობს სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტების ერთიანი დოზირებული ნაკრები, რომლის გამოყენებაც უზრუნველყოფს ინოვაციური საქმიანობის ეფექტიან ორგანიზებას ნებისმიერი რეგიონისათვის.

ყოველი რეგიონი უნდა უდგებოდეს ინოვაციური განვითარების ამოცანების გადაჭრას საკუთარი თავისებურებების, ტრადიციების, არსებული რესურსების და მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Экономика инновационного развития Под ред. М.Кудиной М.: ИНФРА-М, 2014

2. А. Мухамедьяров. Инновационный менеджмент. М.: ИНФРА-М, 2008

3. Гутников О.В. Сопостовительный анализ и оценка законодательных моделей регулирования инновационной деятельности // Законодательство и зкономика. 2006. #10.

4. http://cyberleninka.ru

ОСОБЕННОСТИ ИННОВАЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ НА УРОВНЕ РЕГИОНА

ПААТА КОГУАШВИЛИ
профессор ГТУ, Доктор экономических наук
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com
НАТЕЛА МАРТЫНЕНКО
ГТУ ст. преподаватель, докторант
E-mail: natiamart@mail.ru

Анализ существующих подходов к организации инновационной деятельности на уровне региона показал наличие большого количества инструментов активизации инновационной активности. Вместе с тем необходимо обратить внимание на то, что не существует единого дозированного набора различных инструментов, применение которых обеспечит эффективную организацию инновационной деятельности региона. Каждый регион должен подходить к решению задач инновационного развития с учетом своих особенностей, традиций, имеющихся ресурсов и потребностей.

FEATURES OF INNOVATIVE ACTIVITIES AT THE REGIONAL LEVEL

PAATA KOGUASHVILI
GTU Full Professor
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com
NATELA MARTINENKO
Senior Teacher of GTU, Doctoral Candidate
E-mail: natiamart@mail.ru

At the regional level the analyze of innovative activities of the organization shows that there are too many instruments of the activation. Furthermore we should keep in mind that there is no combination of different instruments, which provides affective organization of innovative activity for all regions. Each region should be tried to solve innovation development tasks according its characteristics, traditions, recourses and needs.